

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის
ბრძანება N 1-1/1109
2006 წლის 11 ოქტომბერი ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის “სახელმწიფო კონტროლს
დაქვემდებარებული (დაკანონებული) გაზომვის
საშუალებებისადმი მოთხოვნების” დამტკიცების შესახებ

გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე და „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და აკრედიტაციის სფეროს მარეგულირებელი კანონების რეალიზაციის ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 დეკემბრის N591 განკარგულების მე-10 პუნქტის შესასრულებლად: (28.07.2010 N 1-1/1262)

1. დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი “სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული (დაკანონებული) გაზომვის საშუალებებისადმი მოთხოვნები” (დანართი 1)

2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ი. ჩოგოვაძე

დანართი 1

ტექნიკური რეგლამენტი
სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული (დაკანონებული)
გაზომვის საშუალებებისადმი მოთხოვნები

1. უსაფრთხოების მახასიათებლებს იმ დაკანონებული გაზომვის საშუალებების მიმართ, რომელთა გაზომვის შედეგები გამოიყენება საგადასახადო, საბაჟო და სასამართლო ექსპერტიზის მიზნებისათვის, ასევე იმ გაზომვებში, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იწვევს ადმინისტრაციულ დაჯარიმებას, წარმოადგენს: (28.07.2010 N 1-1/1262)

ა) დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის დამტკიცების ან აღიარების არსებობა გაზომვის საშუალებების ტიპების სახელმწიფო რეესტრში;

ბ) დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამოწმება;

გ) დაკანონებული გაზომვის საშუალებების ექსპლუატაციის დადგენილი პირობების დაცვა;

დ) დაკანონებული გაზომვის საშუალებების გაზომვის შედეგების მიკვლევადობის უზრუნველყოფა მეტროლოგიური საქმიანობის ორგანიზებასა და განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოს ღონეზე.

2. დაკანონებული გაზომვის საშუალებების უსაფრთხოების მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული გაზომვის საშუალებების ტიპების რეესტრში რეგისტრირებულ მახასიათებლებს.

3. პასუხისმგებლობა, დაკანონებული გაზომვის საშუალებების უსაფრთხოების მახასიათებლების დაცვაზე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება გაზომვის საშუალებების მფლობელს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მახასიათებლების დაცვა.

4. დაკანონებული გაზომვის საშუალებების სახელმწიფო მეტროლოგიურ ზედამხედველობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილი ორგანო.